ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ30. 302434014**
თარიღი:**05/12/2024**

განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის N 08-30243044 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განხორციელდეს, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურითა და ბიჯის ოდენობით, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ლანჩხუთში მდებარე 41236 კვ.მ და 282489 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები (№27.06.48.890; №27.06.48.895) პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება, რომლის პრივატიზება არ მოხდა ელექტრონული აუქციონის ჩატარების დროს.

2. განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 2 996949. 46 (ორი მილიონ ცხრაასოთხმოცდათექვსმეტი ათას ცხრაასორმოცდაცხრა ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ლარი შემცირდეს 35%-ით და განისაზღვროს საწყისის საპრივატიზებო საფასურის 65%-ით, რაც შეადგენს 1 948 017,15 (მილიონცხრაასორმოცდარვაათას ჩვიდმეტი ლარი და თხუთმეტი თეთრი) ლარს, ხოლო ბიჯის სიდიდედ განისაზღვროს შეცვლილი საპრივატიზებო საფასურის 1 %, რაც შეადგენს 19 480,18 (ცხრამეტიათასოთხას ოთხმოცი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარს.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

ბ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში ქონების შემძენმა აღნიშნულ ტერიტორიაზე

მოაწყოს საერთაშორისო სტანდარტების მქონე სპორტული ინფრასტრუქტურა.

გ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდატექვსმეტი) თვის ვადაში ქონების შემძენმა პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, საპრივატიზებო უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განვითარების მიზნით, ამავე უძრავ ქონებაზე სრულად განახორციელოს 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ინვესტიცია (დღგ - ს გათვალისწინების გარეშე).

დ) საპრივატიზებოდ გამოტანილი მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებული N 27.06.48.022; N27.06.48.132 და N 27.06.48.341 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებული უძრავ ქონებებთან მოაწყოს საავტომობილო გზა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 (რვა) თვის ვადაში.

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით გამოცხადებისა და ჩატარების ორგანიზება დაევალოს აუქციონატორს (თორნიკე ტიკაძეს).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართი – ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა N26 კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი